საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლხური სურო



კოლხური სურო

კოლხური სურო (Hedera colchica), მცოცავი ბუჩქი სუროს გვარისა. აქვს მომრგვალო ან მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის ტყავისებრი ფოთლები და პატარა მომწვანო ყვავილები. უფრო გავრცელებულია დას. საქართველოს ტყეებსა და ჩრდილიან ადგილებში. საქართველოს გარდა იზრდება თურქეთში (ლაზეთი). კულტივირებულია ბაღებსა და პარკებში. მისი ფოთლები შემოდგომის დამლევს და ზამთარში სიცივისაგან მოწითალო ფერს იღებს. ადვილად მრავლდება კალმით და გადაწვენით. აქვს ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა.